BANNER

სამართალი

# თბილისის საქალაქო სასამართლომ „არემჯი გოლდთან“ დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელის განხილვა შეწყვიტა

18:00 / 17.04.2015

როგორც „ინფო 9“-სთვის გახდა ცნობილი, დღეს თბილისის საქალაქო სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელის განხილვა შეწყვიტა, რომლითაც „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კომპანია „არემჯი გოლდზე“ საყდრის-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამუშაოების შესახებ გაცემულ დადებით დასკვნას ასაჩივრებდა.

„ინფო 9“-ს აღნიშნული ინფორმაცია „არემჯი გოლდის“ იურიდიულ დეპარტამენტშიც დაუდასტურეს.

„კი, ნამდვილად ვადასტურებ. დღეს იყო სასამართლო განხილვა და სასამართლომ შეწყვიტა „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელის განხილვა, რომლითაც ის ფართომასშტაბიანი სამუშაოების ჩატარების შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ დადებით დასკვნას ასაჩივრებდა. წერილობით რომ ჩაგვბარდება გადაწყვეტილება, შეწყვეტის საფუძვლებზე ალბათ, მეტი დეტალი გვეცოდინება, მაგრამ როგორც მოსამართლემ ზეპირად განაცხადა, მოსარჩელის მიერ კანონიერი ინტერესის არარსებობა გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. ანუ მოსამართლემ განაცხადა, რომ აღარ არსებობს იმის ინტერესი, რომ აღნიშნულ

კვირის პოპულარული



განოს გამოთხოვება - კოტე თოლორდავა უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს

17:21 / 19.04.2015

გამოკითხვა

იცით, რომ ვაქცინების უსაფრთხოება სათანადოდ არის გამოკვლეული?

დიახ

არა

ხმის მიცემა შედეგები

ფოტომატიანე



ბაბო ავალიშვილი და ლადო ალექსი-მესხიშვილი სპექტაკლში „და-ძმა“

11:33 / 19.04.2015

Face აქტივობა

დადებით დასკვნაზე საქმის განხილვა განხორციელდეს. ჩვენ ამას შევაფასებთ, როგორც სასამართლოს კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებას“, - განაცხადა კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ვახტანგ ფარესიშვილმა.

Recommend 1

დაამატე კომენტარი

ასევე დაპოსტეთ Facebook-ზე

გამოაქვეყნე როგორც **Natalia Ksovreli** კომენტარი

Facebook-ის სოციალური ჩანართი

## კატეგორიის სხვა სიახლეები



### მოსამართლე ითხოვს, დაზუსტდეს მუხლის რედაქცია, რომლითაც სააკაშვილს ბრალი აქვს წარდგენილი

დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე მიხეილ სააკაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს ორი მუხლით, საიდანაც ერთი 2005 წლის რედაქციაში არ არსებობს. ამ უზუსტობამ საქალაქო სასამართლოში წინასასამართლო სხდომაზე მხარეებს შორის კამათი გამოიწვია.

16:47 / 20.04.2015



### საქართველოში პაკისტანის მოქალაქე ერაყის მოქალაქის თანხის მითვისებაში ამხილეს

იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტების დამზადების ფაქტზე პაკისტანის მოქალაქე ამხილა, რომელმაც საქართველოში მცხოვრებ ერაყის მოქალაქეს თაღლითური გზით 1 800 აშშ დოლარი გამოსძალა.

16:30 / 20.04.2015



### შალვა აბულაძის ადვოკატი საქმეში არსებულ ახალ გარემოებებზე საუბრობს

ორი პოლიციელის მკვლელობასა და დაჭრაში ბრალდებული შალვა აბულაძე გამომძიებლებს უკვე ორი საათია ჩვენებას აძლევს. სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაში დაკითხვა მისი ადვოკატის თანდასწრებით მიმდინარეობს. ეს მისი პირველი დაკითხვაა.



რას ყვება ედუარდ ოგანესიანი კოტე თოლორდავაზე: მინდა, ყვითელ პრესას იმედები გავუცრუო

16:40 / 14.04.2015



„ბაბულიკა დარჩება“ - კოტე თოლორდავას მეგობრები ემშვიდობებიან

19:45 / 18.04.2015



ინგა გრიგოლია კოტე თოლორდავაზე: უზარმაზარი ვალი ჰქონდა ბინის, რომელსაც მისი ოჯახი ახლა კარგავს

22:40 / 19.04.2015



„არის რაღაც პრობლემები და მოდით, ერთად დავუდგეთ კოტეს ოჯახს გვერდით“

18:28 / 19.04.2015



გიორგი ვაშაძეს მესამე შვილი შეეძინა

14:30 / 20.04.2015




სიახლე „ფეისბუქზე“ - „რას მიირთმევ ახლა“-ში უკვე ხინკლის მითითება შეგიძლიათ

16:15 / 19.04.2015



(18+) სააკაშვილი უკრაინაში გარდაცვლილი ქართველის შესახებ ვიდეოს ავრცელებს

13:01 / 19.04.2015



„ზონდერი ცანავა ფიზიკურად უსწორდება გიორგი ჩითარიშვილს“

23:00 / 17.04.2015